

SLAVE TRADE IN GEORGIA
ACCORDING TO REPORTS OF THE THEATINE MISSIONAIRES

ტყვეთა სყიდვა~ საქართველოში
თეატინელი მისიონერების რელაციების მიხედვით

ELDAR MAMISTVALISVILI

Doctor of Historical Sciences,
Professor, Gori State University,
Georgia, Gori, Chavchavadze St., N53,1400,
+9955 99117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
<https://orcid.org/0000-0002-5978-7624>

Abstract:

Following the Ottoman conquests and the subsequent closure of the Black Sea, Georgia—particularly its western regions—was isolated from the outside world. This isolation led to a decline in production and an acute shortage of currency. As a result, in a politically fragmented and economically weakened country, the lower classes—serfs and peasants—were turned by feudal lords into a medium of exchange: money was replaced by human beings. Men and women, young and old alike, were sold and transported abroad, mainly by sea through the Black Sea routes.

Almost all the Theatine missionaries active in Georgia during the first half of the seventeenth century—Pietro Avitabile, Arcangelo Lamberti, Giudice, and Cristoforo Castelli—expressed deep sorrow over the evil practice of trading in human beings. This phenomenon, known in Georgian historiography as the “*Slave Trade*” (*Tqvis Sqidva*), had become especially widespread and nearly universal in western Georgia.

This destructive social and moral phenomenon, which gravely damaged the demographic, social, and cultural condition of late medieval Georgia, has been the subject of considerable scholarly attention. Georgian historians have thoroughly investigated its causes and consequences.

The reports of the Theatine missionaries who worked in various parts of seventeenth-century Georgia (Kartli, Imereti, Samegrelo, and Guria) constitute the earliest and most important historical sources for studying the slave trade. Avitabile, Lamberti, Giudice, and Castelli, who resided in Georgia at different times but within the same general period, all commented with concern and compassion on this painful reality.

It is also essential to consider their social and religious-cultural difference from the local population, as well as the missionary objectives assigned to them from Rome. For this reason,

the citation and analysis of these Theatine reports in this article aim to reveal the missionaries' attitudes, their moral anguish, and their empathy toward the Georgian people.

Keywords: slavery, sea trade, Castelli, Turks, Dadiani.

ელდარ მამისტვალიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., #53,1400,
+995 599117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
<https://orcid.org/0000-0002-5978-7624>

აბსტრაქტი:

ოსამლეთის დაპყრობების შედეგად შავი ზღვის ჩაკეტვამ საქართველო, განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილი გარე სამყაროს მოწყვლადი, რამაც წარმოების შემცირება და ფულის დეფიციტი გამოიწვია. ამის გამო, თავისი მოხდენილი გარეგნობისა და ინტელექტუალური შესაძლებლობის გამო, პოლიტიკურად დაქუცმაცებული და დაუძლურებული ქვეყნის მოსახლეობის დაბალი ფენა – ყმა-გლეხები ფეოდალებმა გაცვლის საშუალებად გადაქცეული ორივე სქესის, დიდი და პატარა ადამიანებით, ფული ჩაანაცვლა. საქართველოდან მონების უცხოეთში გაყვანა ძირითადად შავი ზღვით ხდებოდა.

XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში მყოფი თითქმის ყველა თეატინელი მამები (ავიტაბილე, ლამბერტი, ჯუდიჩე, კასტელი) წუხდნენ იმ ბოროტების გამო, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანებით ვაჭრობასთან. ეს მოვლენა ქართულ ისტორიოგრაფიაში 'ტყვის სყიდვის' სახელითაა ცნობილი. მან განსაკუთრებით ფართე და თითქმის საყოველთაო სახე მიიღო დასავლეთ საქართველოში.

ამ უარყოფითმა მოვლენამ, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებდა გვიან შუა საუკუნეების საქართველოს დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ მდგომარეობას, ჯეროვანი ყურადღება მიაქცევს აღნიშნული პერიოდის მკვლევრებმა – ქართველმა ისტორიკოსებმა და, შეიძლება ითქვას, სრულყოფილად შეისწავლეს მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები.

საქართველოს ისტორიის ამ მტკივნეული და სამარცხვინო საკითხის შესასწავლად, XVII საუკუნისათვის გვაქვს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მხარეებში მოღვაწე თეატინელი მამების ცნობები, რომლებიც დღეისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელოვან იმენენ, როგორც უპირველესი საისტორიო წყაროები. დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯუდიჩე და დონ კრისტოფორო კასტელი ერთდროულად, მაგრამ განსხვავებული დროის ხანგრძლივობით იმყოფებოდნენ საქართველოში და ერთსა და იმავე სამწუხარო პრობლემაზე დაგვიტოვეს ცნობები და მოსაზრებები. ამავე დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს დასახელებული მისიონერების სოციალური და რელიგიურ-კულტურული

განსხვავებულობა ადგილობრივი მოსახლეობისაგან, და რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს მათი საქართველოში ჩამოსვლის მიზანი, მათთვის მიცემული დავალებები რომში. დასახელებული კათოლიკე პატრების რელაციებიდან ციტირება და მოკლე შენიშვნები იმიტომაცა საინტერესო და აუცილებელიც, რომ უკეთ გავიგოთ მათი დამოკიდებულება ამ უარყოფითი მოვლენისა და მათი გულისტკივილი და თანაგრძნობა ქართველი ხალხისადმი. სწორედ მისიონერების განწყობილება-დამოკიდებულების ჩვენება მინდა ამ სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: მონობა, საზღვაო ვაჭრობა, კასტელი, თურქები, დადიანები.

შესავალი: სტატიაში კათოლიკე მისიონერები, თეატინელების ორდენის წევრების დონ პიეტრო ავიტაბილეს, დონ კრისტოფორო დე კასტელის, დონ არქანჯელო ლამბერტის და დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ცნობების საფუძველზე შესწავლილია ფეოდალური ხანის საქართველოს ისეთი უარყოფითი მოვლენა, როგორიც იყო მოსახლეობის დაბალი ფენების ყველა ასაკისა და სქესის ადამიანებით ვაჭრობა, შექმნილი დუხჭირი ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. დასახელებული მისიონერები ამ უარყოფითი მოვლენის წინააღმდეგ მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით არ კმაყოფილდებოდნენ, პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდნენ.

მეთოდები: წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებული მეთოდებია: ემპირიული ანალიზი, შედარებითი ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, სისტემური ანალიზი.

შედეგები და მსჯელობა:

ადამიანებით ვაჭრობა უძველესი დროიდან ხდებოდა, მაგრამ იგი არ დაფიქსირებულა დამწერლობის წარმოშობამდე, შემოინახა მხოლოდ ზეპირმა გადმოცემებმა. იგი მეტ-ნაკლები ინტენსიურობით არსებობდა ყველა კონტინენტზე და ყველა ქვეყანაში. ეს ვრცელი საკითხია, მაგრამ მას დროებით მივანებოთ თავი და ვილაპარაკოთ იმაზე რაც ხდებოდა საქართველოსა და მის სამეზობლოში.

ადამიანების ყიდვა-გაყიდვა გაცხოველდა საქართველოში მაშინ, როდესაც გენუელმა ვაჭრებმა შავი ზღვის სანაპიროებზე დაიწყეს სავაჭრო საქმიანობა. 1261 წლის 13 მარტს ბიზანტიის კეისარმა მიხეილ პალეოლოგმა და ჯერ კიდევ ჯვაროსნული ომების დროს გამდიდრებული და სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებული გენუის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, ნიმფეაში გააფორმეს ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იყო ლათინთა იმპერიის წინააღმდეგ. გენუელებს უფლება მიეცათ ბაჟების გარეშე ეცურათ შავ ზღვაში. იქვე აღნიშნული იყო, რომ ყველა სხვა „ლათინებს“, განსაკუთრებით ვენეციელებს, ეკრძალებოდათ შავ ზღვაში შესვლა. 1266 წ. გენუელებმა ოქროს ურდოს ყაენთან შეთანხმებით ყირიმში მიიღეს ქ. ფეოდოსია, რომელსაც კაფა ეწოდა. შემდეგში ეს ქალაქი გენუელების შავ ზღვაში მთავარ ეკონომიკურ დასაყრდენად გადაიქცა. XIV ს. პირველ ათწლეულში გენუელებს შავი ზღვისპირეთში ტანადან სევასტოპოლისამდე (ცხუმი/სოხუმი) გენუის 39 კოლონია და დასახლება არსებობდა (Зевакин, 1936: 79). შავი ზღვის აუზში გაბატონების დროს გენუელების

უმთავრეს მიზანს, აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ინდოეთთან ვაჭრობაში მონოპოლიის მოპოვება წარმოადგენდა (Манандян, 1954: 297-298).

ამგვარად, გენუის სახით ჩამოყალიბდა უზარმაზარი კოლონიური სახელმწიფო, რომლის სამფლობელოები კაფადან სეუტამდე (მაროკო) იყო გადაჭიმული. მისი სიძლიერე სამხედრო წარმატებებშიც გამოიხატა. კაფა აღმოსავლეთთან ვაჭრობის უმსხვილეს ცენტრად გადაიქცა. იქ მიჰქონდათ და იქიდან გაჰქონდათ იმ დროის ყველა მნიშვნელოვანი საქონელი. მის მახლობლად მცხოვრები ხალხებისაგან ნაყიდი პროდუქტებით (ხორბალი, ტყავი და სხვ.) გენუელები დასავლეთ ევროპას ამარაგებდნენ.

კავკასიის მთიელი მოსახლეობა მონებით ვაჭრობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, რაშიც გენუელები უდიდეს მოგებას ნახულობდნენ. კაფელი ვაჭრები ევროპულ ნაწარმს ტანაში რუსულ, ჩინურ და ინდურ საქონელზე ცვლიდნენ.

ოსმალეთის სახელმწიფოს თანდათანობით გაძლიერების და მის მიერ შავი ზღვის ჩაკეტვის კვალობაზე, იტალიელი მონებით მოვაჭრენი განიდევნენ, როგორც ზ. ანჩაბადე აღნიშნავდა: *‘ისინი შემდეგი დროის თურქ მონათვაჭრების ღირსეული წინაპრები იყვნენ’* (Анчабадзе, 1956: 246).

ოსმალეთის დაპყრობების შედეგად შავი ზღვის ჩაკეტვამ საქართველო, განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილი გარე სამყაროს მოწყვიტა, რამაც წარმოების შემცირება და ფულის დეფიციტი გამოიწვია. ამის გამო, თავისი მოხდენილი გარეგნობისა და ინტელექტუალური შესაძლებლობის გამო, პოლიტიკურად დაქუცმაცებული და დაუძლურებული ქვეყნის მოსახლეობის დაბალი ფენა – ყმა-გლეხები ფეოდალებმა გაცვლის საშუალებად გადაქცეული ორივე სქესისის, დიდი და პატარა ადამიანებით, ფული ჩაანაცვლა. საქართველოდან მონების უცხოეთში გაყვანა ძირითადად შავი ზღვით ხდებოდა. როგორც პაატა გუგუშვილი აღნიშნავდა: *‘ერთი ავტორი, შავი ზღვის სოციალ-ეკონომიკური მნიშვნელობის და როლის მიმოხილვამ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ ზღვას ‘შავი’ იმიტომ ეწოდა, რომ მის სანაპიროებზე გამეფებული იყო მეკობრეობა და კერძოდ წარტყვევნა ადამიანებისა და მათი მონებად გაყიდვა’* (გუგუშვილი პ., 1949: 367-368).

XVII საუკუნის პირველი ნახევრის თითქმის ყველა თეატინელი მამები (ავიტაბილე, ლამბერტი, ჯუდიჩე, კასტელი) წუხდნენ იმ ბოროტების გამო, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანებით ვაჭრობასთან. ეს მოვლენა ქართულ ისტორიოგრაფიაში *‘ტყვის სყიდვის’* სახელითაა ცნობილი. მან განსაკუთრებით ფართე და თითქმის საყოველთაო სახე მიიღო დასავლეთ საქართველოში. (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 33-34, 74; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, 1964: 45, 46, 47, 89; დონ არქანჯელო ლამბერტი, 1938: 158; დონ კრისტოფორო კასტელი, 1976: 34, 35, 36, 54, 55, 63, 168, 75-77, 117, 129, 140, 147, 148, 155, 168, 172, 177, 457).

ამ უარყოფითმა მოვლენამ, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებდა გვიან შუა საუკუნეების საქართველოს დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ მდგომარეობას, ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს აღნიშნული პერიოდის მკვლევრებმა – ქართველმა ისტორიკოსებმა და, შეიძლება ითქვას, სრულყოფილად შეისწავლეს მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები (გუგუშვილი პ., 1949: 258-346; კილასონია ა., 2006; Киласония А., 2018).

გავიხსენოთ, რომ საქართველოს ისტორიის ამ მტკივნეული და სამარცხვინო საკითხის შესასწავლად, XVII საუკუნისათვის გვაქვს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მხარეებში (ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია) მოღვაწე თეატინელი მამების ცნობები, რომლებიც უპირველეს საისტორიო წყაროებად ითვლება. ისინი ერთდროულად იმყოფებოდნენ საქართველოში და ერთსა და იმავე სამწუხარო პრობლემაზე დაგვიტოვეს ცნობები და მოსაზრებები, რომლიც ნათელი მოჰყვანს მის გაცნობა-შესწავლას. ამავე დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს მათი სოციალური და რელიგიურ-კულტურული განსხვავებულობა მკვიდრი მოსახლეობისაგან, და რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს მათი საქართველოში ჩამოსვლის მიზანი, მათთვის მიცემული დავალებები რომში. დასახელებული კათოლიკე პატრების რელაციებიდან ციტირება და მოკლე შენიშვნები იმიტომაცა საინტერესო და აუცილებელიც, რომ უკეთ გავიგოთ მათი დამოკიდებულება ამ უარყოფითი მოვლენისა და მათი გულისტკივილი და თანაგრძნობა ქართველი ხალხისადმი. სწორედ მისიონერების განწყობილება-დამოკიდებულების ჩვენება მინდოდა ამ ნარკვევში, რამაც განაპირობა ზოგჯერ საკმაოდ ვრცელი ციტატების მოხმობა დასახელებული მისიონერების თხზულებებიდან.¹

* * *

დონ პიეტრო ავიტაბილე. გორის მისიის პრეფექტი 1635 წლის 24 ნოემბერს ალექსიდან გაგზავნილ რელაციონით თეატინელი კლირიკოსების გენერალს, დონ მატეო სანტომანგოს აცნობებდა: ქართლში თეიმურაზ მეფესა და როსტომ მეფეს შორის მიმდინარე ბრძოლების დროს ორივე მხარის ხელში მოხვედრილ მრავალ ტყვეებზე, რომლებსაც ისინი მაჰმადიანებზე ჰყიდნენ, როგორც პირუტყვებს. ტყვეების სიმრავლის გამო, *„ერთ დღეს მათი ფასი იმდენად დაეცა, რომ ხუთ პიასტრზე ჩამოვიდა. მე შემეცოდა ისინი და რადგან ფული არ მექონდა, ჩემი ბარძიმით მინდოდა მრავალი ბავშვის გამოსყიდვა. ამან არ გამიმართლა, რადგან ფული მომთხოვეს“* (პიეტრო ავიტაბილე, 1977: 33).

პიეტრო ავიტაბილეს ყველაზე დიდ ცოდვად ქართველი დიდებულების მიერ ქალ-ვაჟთა თურქებზე გაყიდვა მიაჩნდა: *„მერედა განა ცოტას ყიდიან? წელიწადში ოთხი ათასი მაინც მიყავთ ან ხარკის სახით აგზავნიან“* (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 34).

იგივე მისიონერი ადამიანებისადმი არაადამიანური მოპყრობის მაგალითად ასეთ ამბავს ჰყვება: *„ერთი კაცი სპარსეთის ხელმწიფესთან ელჩად უნდა წასულიყო. საკუთარი ქალიშვილი გორში მცხოვრებ სასიძოსთან დასანიშნავად წაიყვანა... როცა გორს მიაღწია იფიქრა: სპარსეთის მეფეს ხელგარიელი როგორ წარვუდგე, უხერხული იქნებაო და საჩუქრად თავისი ქალიშვილი მიჰგვარა. ერთმა მაზლმა საკუთარი ძმის ცოლი თურქებს მიჰყიდა. უამრავი ასეთი შემთხვევაა...“* (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 34).

დონ პიეტრო ავიტაბილე 1638 წლის 10 სექტემბერს კონსტანტინოპოლიდან რომში გაგზავნილ წერილში ბრალს სდებს ლევან II დადიანს. *„როცა მაცნობეს ადამიანებით გახურებული ვაჭრობის შესახებ, - წერს ავიტაბილე, - რომელიც ამ ზღვაზე ხდება, ჯერ ძნელად*

¹ adamianebiT vaWrobs politikuri, ekonomikuri, socialuri, tyveTa syidvis saxeebi da sxva mizezebi ix. daviT merkvilaZis saintereso statiaSi. <http://caucasology.com/amirani37/merkviladze.pdf>

დავიჯერე, ახლაც თვალებიდან იმდენი ცრემლი მეღვრება, რამდენიც მეღანი არ გამომიყენებია ამ ქალაქდზე (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 74).

ავიტაბილეს აღწერილობით, ზღვის სანაპიროზე იყო ადგილები, სადაც ადამიანებით მოვაჭრენი ცხოვრობდნენ. ისინი აკონტროლებდნენ ამ საქმიანობის მიმდევრებისგან ბაჟი აღებას. იქვე ჭიანჭველებით ირეოდნენ წვრილი ვაჭრების ნაგები. ყოველწლიურად ნაპირს მოადგებოდა ორი დიდი გემი, რომლებიც 'საქონლით' იტვირთებოდნენ და სხვა ქვეყნისკენ მიეშურებოდნენ. გასაოცარი ის იყო, ამ ჯოჯოხეთური ბაზრის მთავარი ვაჭრები მართლმადიდებელნი იყვნენ, მაშინ, როდესაც კათოლიკეები ქართველების ჭეშმარიტების გზაზე დაყენებას ცდილობდნენ. პატრებმა შენიშნეს, რომ თანამემამულეთა გაყიდვით, ქართველები თურქებისაგან მაღალ ფასს იღებდნენ. ავიტაბილე აცხადებს, რომ თვითონ და მისი კოლეგა მისიონერები, ოღონდ ტყვეების გაყიდვაზე ხელი ააღებინონ ადამიანებით მოვაჭრეებს, მზად არიან თავიანთი სისხლი გაიღონ მათ დასაკმაყოფილებლად.

დონ ჯუზეპე (ჯოზეფო) ჯუდიჩე მილანელი.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩემ სწავლა დაასრულა ს. ანტონიო დე მილანოში 1582 წლის 21 ოქტომბერს. 1631 წლის მაისში დონ არქანჯელო ლამბერტისთან ერთად, ალექსა და არზრუმის გზით ჩამოვიდა გორში, სადაც იმყოფებოდა 1833 წლის ოქტომბრამდე. იმავე წლის გაზაფხულზე როსტომ-ხანის ყიზილბაშთა ჯარით ქართლში შემოსვლის შემდეგ, როგორც ჩანს, ჯუზეპე ჯუდიჩემ და არქანჯელო ლამბერტი უკეთესად ჩათვალეს სამისიონეროდ სამეგრელოში გადასულიყვნენ და ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) ჩაგონებით, ლევან დადიანის დის სათხოვნელად სამეგრელოში გაგზავნილ ელჩებს გაყვნენ, სადაც ჩავიდნენ 1634 წლის სექტემბრს. ჯუდიჩე ოდიშში მოღაწეობდა 1643 წლის ოქტომბრამდე. იგი ლევან დადიანმა რომში პაპ ურბან VII-სთან დიპლომატიური დავალებით გაგზავნა და აქეთობას რამდენიმე იტალიელი შალისა და აბრეშუმის მქსოველის წამოყვანა დაავალა. მან დავალება შეასრულა და საქართველოსკენ გამოემურა, 1646 ჯუდიჩე და მისი თანამგზავრები დარდანელში თურქებმა დააპატიმრეს. ის იმავე წლის 9 მაისს სატუსალოში გარდაიცვალა (ტაბაღუა, 1985: 287).

დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს მიხედვით, სამეგრელოში ყველა ყმა, მთავრის ან თავადისაა, მათ შეუძლიათ ისინი დაუბრკოლებლად გაყიდონ. *'მართლაც, ყოველ წელს მრავალრიცხოვან ქალსა და კაცს თურქებზე ჰყიდიან... თუმცა მონებით, ტყვეებით ვაჭრობა ცოდვად მიაჩნიათ, მაგრამ თითქმის ყველა იღებს მონაწილეობას ამ ვაჭრობაში, რომლის მეშვეობითაც ტანსაცმელს, მოვერცხლილ იარაღს და სხვა საჭირო ნივთებს იძენენ ოჯახისათვის'* (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, 1964: 89).

ჯუზეპე ჯუდიჩეს ტყვეთა სყიდვით დასაქმებული ადამიანების მორჯულების ეფექტურ საშუალებად, მათი ავადმყოფობის დროს ზემოქმედება მიაჩნდა. *'ავადმყოფობის მიერ შეწუხებულებს უფრო მეტ მორჩილებას ვამჩნევთ: შეგნებული აქვთ ის, რომ ამჟამად ცოდვებისათვის არიან დასჯილნი ღვთის მიერ. დიდმა ბატონებმა ჩვენი ქადაგებიდან ბევრი რამ ისწავლეს. ამის გამო ზოგიერთი, რომელიც ტყვეს არ ჰყიდდა, ურყევ სიმაგრედ იქცა... მათ კი, რომელთაც დიდი რაოდენობით ტყვე უნდა გაეყიდა, ზოგმა სულ დათმო, ზოგმა ნაწილობრივ. დანარჩენებმა მტკიცედ გადაწყვიტეს ხელი აეღოთ ამ ბოროტებაზე'*. იგი იქვე ასახელებს იმ

ადამიანებს, რომლებსაც განკურნების შედეგად ხელი ააღებინეს ამ დასაგმოზ საქმეზე (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, 1964: 46).

ჯუზეპე ჯუდიჩე შემდეგ ყვება იმ პრაქტიკული ღონისძიებაზე, რომლითაც მისიონერებმა გასაყიდათ განწირული ბავშვები გადაარჩინეს. *‘ჩვენი ქადაგება, განსაკუთრებით ამ ბოროტების წინააღმდეგ, იმდენად კარგად იქნა მიღებული მთელ სამეგრელოში, რომ წელს [1640] სულთანისათვის ყმაწვილების გაგზავნის დრო როცა დადგა, ჩვენი სახლი თავშესაფარი გახდა მათივე მშობლების მიერ გამოგზავნილი და გამოქცეული ყმაწვილებისათვის, რათა მფარველობა გაგვეწია მათთვის, ვინაიდან მათ იცინ, რომ ჩვენ დიდ პატივს გვცემენ მთავარი და ამ ქვეყნის დიდებულნი. ჩვენ ყველას მიღებასა და დაცვაზე დავთანხმდით, მოვიმარაგეთ რა სურსათი რამდენიმე დღისათვის’* (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, 1964: 46-47). მისიონერი შემდეგ აღარ წერს როგორ დასრულდა მისიონერების ასეთი გაბედული მოქმედება.

ჯუზეპე ჯუდიჩე ცდილობდა მაგალითების მოხმობით, ვრცლად მოეთხრო იტალიელი მამების ზრუნვაზე კათოლიკური რწმენის დასამკვიდრებლად გურიასა და სამეგრელოში.

დონ არქანჯელო ლამბერტი დაიბადა ქალაქ ავერსაში. ის დაახლოებით ოცდაათი წლისა იყო, როცა ჩაეწერა საქართველოს თეატინელთა მისიაში. გამოდის, ის უნდა დაბადებულიყო 1599 ან 1600 წელს (დონ არქანჯელო ლამბერტი, 1938: 6; დონ არქანჯელო ლამბერტი, 2020: 16)

ბერად შემდგარი ახალგაზრდა არქანჯელო ნეაპოლის წმ. მოციქულთა ეკლესიაში გაწევრიანდა თეატინელთა ორდენში, 1630 წლის 18 ოქტომბერს ნეაპოლიდან გაემგზავრა მე-სინამი სადაც შეუერთდა დონ ჯაკომო ჯუდიჩეს და 1632 წლის 12 მაისს. (მ. პაპაშვილისა და ზ. გამეზარდაშვილის მიხედვით ეს მოხდა 12 მარტს. დონ არქანჯელო ლამბერტი, 2015: 26).

ისინი მოვიდნენ გორში, სადაც დარჩნენ 1633 წლის ოქტომბრის ბოლომდე. შემდეგ გადავიდნენ სამეგრელოში. არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოში მოღვაწეობდა სამშობლოში დაბრუნებამდე, 1649 წლის 18 ოქტომბრამდე. დონ არქანჯელომ ჯერ კიდევ 1647 წელს სთხოვა ვატიკანს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. ჩან, მისმა თხოვნამ შედეგი არ გამოიღო და ამის შემდეგ, როგორც კრისტოფორო კასტელის 1648 წლის 12 ივლისის წერილიდან ვიგებთ, რომლის ადრესატი კლიმენტე გალანოა, სამეგრელოს მისიონში მასთან ერთად მყოფი არქანჯელო ლამბერტის მამამ ორჯერ გაუგზავნა წერილი კონგრეგაცია ფიდეს და მოითხოვა შვილის იტალიაში დაბრუნება (Don Cristoforo Casteli 1980: 104-105). შეიძლება ვარაუდი, რომ მამა-შვილის ერთობლივმა მოქმედებამ აიძულა რომის ხელმძღვანელობა, დონ არქანჯელო დაებრუნებინა იტალიაში. ნეაპოლში ის თავის ორდენს დაუბრუნდა. უცნობია მისი გარდაცვალების დრო და ადგილი. როგორც დ. მერკვილაძე ვარაუდობს, დონ არქანჯელო ლამბერტი უნდა გარდაცვლილიყო 1657 წელს ‘წმინდა კოლხეთის’ გამოცემის შემდეგ (დონ არქანჯელო ლამბერტი, 2020: 21).

თავის ‘სამეგრელოს აღწერაში’ ის ზოგადად ეხებოდა რა სავაჭრო ურთიერთობას სამეგრელოში, აღნიშნავდა, რომ იგი ძირითადად გაცვლით ხასიათს ატარებდა, რადგან მოსახლეობას ფული არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივებისათვის ყველაზე გასაყიდანი საქონლად ადამიანები გადაიქცნენ, რომელთა გადაცვლა შემოზიდულ საქონელზე ყოველთვის შეიძლებოდა, *‘რადგან ტყვეები ბევრს არ იწონიან, (თურქი ვაჭრები-*

ე.მ) რამდენსაც იმოვნინან, იმდენს ჩაყრიან ხომალდში. მეგრელებიც დიდის სიამოვნებით ჰყიდიან ტყვეებს, რადგან ერთ ტყვეში აიღებენ ყველა საქონელს, რაც სახლში ეჭირვებათ (დონ არქანჯელო ლამბერტი, 1938: 158).

არქანჯელო წუხს, როცა ხედავს ქრისტიან პატრონებს მიჰყავთ ასიოდე ქრისტიანი ბიჭი და თურქებზე ჰყიდიან. მყიდველები იმდენსაც კი არ იცდიან, რომ ნავაჭრი სამეგრელოდან გაიყვანონ და იქვე უცვლიან რჯულს. ასევე ეპყრობოდნენ ქალებსაც. თურქებს ფული არ ენანებოდათ ლამაზი მეგრელი ქალების შესაძენად, ზოგჯერ 300-400 ცეხინსაც² კი იხდიდნენ. ლამბერტი თავის 1634 წლის 4 ივნისის ოდიშიდან გაგზავნილ რელაციაში წერდა: თურქები 'ყველაზე მეტად ყიდულობენ ქალებს, რადგან ისინი ძალზე ლამაზები არიან. ამიტომ აქ (სამეგრელოში-ე.მ.) ქალების დიდი ნაკლებობაა და როდესაც კვდება რომელიმე ცოლიანი მამაკაცი, მაშინ საქმე იარაღამდე მიდის, რათა გარდაცვლილის მეუღლეს დაეპატრონოს' (დონ არქანჯელო ლამბერტი, 2015: 26).

იყიდებოდნენ ასაკიანი მამაკაცებიც რაღაც დანაშაულის გამო, უფრო კი ქურდობისათვის; არქანჯელო ლამბერტი ერთ ისეთ შემთხვევაზეც ლაპარაკობს, როდესაც ერთმა დიდებულმა თურქებს მიჰყიდა 12 მღვდელი (დონ არქანჯელო ლამბერტი, 2020: 161-162). ამ ამბავთან დაკავშირებით ანტიოქიის პატრიარქი მაკარი III წერს: 'ჩვენ გვიაშთქცის: ორმოცი წლის წინათ [ე.ი. XVII ს. 20-იანი წლები], ერთ თავადს ნათესავი მოკვდომია. მას თავისთან მეზობელი მღვდლები დაუბარებია. სულ დაახლოებით ორმოცდაათი მღვდელ-დიაკვანი შეკრებილა. ამათ ამ თავადის გარდაცვლილი ნათესავის სახელზე უწირავთ. ამის შემდეგ თავადს მღვდელ-დიაკვნებისათვის უსმევ-უჭმევია, მერე კი მსახურების უბრძანებია – ყველას ხელ-ფეხი შეუკარით, თავ-წვერი მოპარსეთ და გაყიდეთო. ბოლოს ეს ამბავი ქართველთა მთავარს გაუგია. მას ეს თავადი მოუკვლევინებია და მისი სახლი აუკლია' (მაკარი ანტიოქიელი, 1989: 99).

ერთხელ ოდიშის დედოფალმა მისიონერებსაც აჩუქა მონები (დონ არქანჯელო ლამბერტი, 2020: 161-162).

იგივე მისიონერი თავის სხვა თხზულებაში მაღალ შეფასებას აძლევს დონ ანტონიო ჯარდინოს მოხერხებულ საქმიანობას, რომელმაც იმდენი შეძლო, რომ ბევრს ხელი ააღებინა ბავშვების თურქებისათვის მიყიდვაზე (დონ არქანჯელო ლამბერტი, 2020: 293), რაც მისი აზრით, ქრისტიანულ სარწმუნოებას დიდ ზიანს აყენებდა, ერთმანეთისათვის შვილების მოტაცებითა და მათი თურქებისათვის მიყიდვით (დონ არქანჯელო ლამბერტი, 2020: 297).

არქანჯელო ლამბერტი გვაცნობებს, რომ სამეგრელოში მოღვაწე მისიონერებმა ლევან დადიანს გამოაცემინეს ბრძანებულება, 'რომლის ძალითაც ორი წლის განმავლობაში თურქებისათვის მონების მიყიდვა სასტიკად ისჯებოდა. მაგრამ იქ, სადაც ანგარება სუფევს, ღვთის კანონი ფეხქვეშ ითელება. მთავარმაც თავის სულის საზარალოდ, ისევ დაუშვა ამგვარი ვაჭრობა და ბაჟი დააწესა – თითო მონაზე ოთხი სკუდო. თუმცა დროდადრო ისევ ანახლებდა თავის ბრძანებულებას მონებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ' (დონ არქანჯელო ლამბერტი, 2020: 315).

² ცეხინი – ძველი ვენეციური ოქროს ფული

ტყვის სყიდვაში მონაწილეობისათვის მძიმე ბრალს სდებდა მეფე თეიმურაზი ლევან დადიანს, გურიის მთავარს და არქიეპისკოპოსს 1639 წლის 25 აპრილს რუსეთის ხელმწიფისათვის გაგზავნილ წერილში, რომლიდანაც ვიგებთ: დადიანი ყოველწლიურად თურქებზე ყიდდა 10-15 ათას ბავშვს. ასევე ყოველწლიურად ის ქრისტიან 120 ბავშვს საჩუქრად უგზავნიდა ოსმალეთის სულთანს და მის ვეზირს, ხოლო გურიის არქიეპისკოპოსი და მეფე ყოველწლიურად ყიდის 10-12 ათას ბავშვს, ხარკად აგზავნის 80 ბავშვს (Борисе М., 1861: 22-23). საფიქრალია, რომ მოყვანილი ციფრები დიდად გაზავადებულია და არ ასახავდა რეალობას.

თუ გავითვალისწინებთ მეფე თეიმურაზსა და მთავარს ლევან დადიანს შორის არსებულ დამაბულ ურთიერთობას, მაშინ ცხადი გახდება რა მოტივით ცდილობდა მუდმივად სპარსელებთან შეჭიდებული მეფე, რომელიც რუსთ ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს მისგან სამხედრო ან ფინანსური დახმარების მიღებას ლამობდა, ოდიშისა და გურიის მთავრების ცუდ ქრისტიანებად წარადგენდა. იმავე დროს თეიმურაზი პრევენციას ახდენდა რათა რუსეთს კავშირი არ დაემყარებინა ოდიშისა და გურიის სამთავროებთან. თეიმურაზ მეფემ იცოდა ლევან დადიანის მიერ 1636 წელს მოსკოვში ელჩის, გაბრიელ გეგენავას გაგზავნის თაობაზე, რომელიც იქ დიდხანს შეაყოვნეს და მან მხოლოდ 1639 ბოლოს, რაიმე წარმატების გარეშე დასტოვა რუსეთის დედაქალაქი. ლევან დადიანი ხელმწიფის კარზე ამ ელჩობისადმი ცუდი განწყობის შექმნას, თეიმურაზ მეფეს და მის ელჩს ნიკიფიორე ბერძენს აბრალებდა. თეიმურაზი თავის წერილში პირდაპირ აცხადებდა, რომ დადიანი მისი მომაკვდინებელი მტერი იყო და ეს გარემოება უნდა გაეთვალისწინებინა რუსეთის ხელმწიფეს: არ დაიწყოს პოზიტიური ურთიერთობა რუსეთის ხელმწიფისა ოდიშის და გურიის მთავრებთან, მათ შორის არ ყოფილიყო დიპლომატიური კონტაქტები (Mapp H., 1861: 30).³

როგორც ითქვა, 1634 წელს ნიკიფორე ირბახმა არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე გორიდან სამეგრელოში გადაიყვანა. მისიონერებს თან მიჰქონდათ პაპ ურბან VIII-ის მიერ ლევან II დადიანისათვის გაგზავნილი ეპისტოლე, რომელიც დაიწერა 1626 წლის 4 ივლისს. ადრესატისათვის ამგვარი დაგვიანებით ეპისტოლეს გადაცემა გამოწვეული იყო იმით, რომ მისიონერები ხელსაყრელ დროს ელოდნენ, რათა პაპის ეპისტოლე მთავრისათვის პირადად გადაეცათ. მათ ამის გაკეთება მხოლოდ 8 წლის შემდეგ, 1634 წლის ივნისში შეძლეს. ლევან მეორემ ხელსაყრელად ჩათვალა პაპთან თავისი წარმომადგენლის გაეგზავნა საპასუხო წერილებით (თამარაშვილი მ., 1995: 584-585)

1643 წლის ოქტომბერში ლევან დადიანმა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე რომში პაპთან დიპლომატიური დავალებით გაგზავნა. ის ითხოვდა პაპს დახმარება გაეწია ოდიშის სამთავროსთვის და შალისა და აბრეშუმის მქსოველი რამდენიმე იტალიელი გამოეყოლებინა მისი ელჩისთვის.

მთავარი თავის წერილში პაპს მოახსენებდა, რომ ამ დრომდე მის ეპისტოლეზე პასუხის გაუცემლობა, მის ქვეყანაში არსებულმა არახელსაყრელმა ვითარებამ განაპირობა. *‘ამჯერად ცოტა სული მოვითქვით, – წერს ლევან დადიანი, – დავიმორჩილეთ ღვთის წყალობით მტრები,*

³ მეფე თეიმურაზის ბრალდებები ლევან დადიანის შესახებ, ვრცლად (მამისთვალიშვილი ე., II, 2011: 374-377).

აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის მთავრებო. ამის შემდეგ მთავარი ჩამოთვლის იმ სიკეთეს რაც მან სამეგრელოში მოღვაწე მისიონერებს მიაგო. *‘ჩვენ მშვენივრად მოგვეხსენება, რომ თქვენ მთელ მსოფლიოს მართავთ, რომ ხართ წმინდა პეტრეს მემკვიდრე და მაცხოვრის ნაცვალი. ამიტომ გვსურს, რომ ჩვენც გვპატრონობდეთ და გვმფარველობდეთ. ჩვენში არ არიან შალის ან აბრეშუმის მქსოველები, რომელთა ნახელავიც საშუალებას მისცემდა ჩვენს ქვეშევრდომთ ტანისამოსის შოვნისას, რადგან ეს უკანასკნელნი ხშირად იძულებით ყიდიან თავიანთ ნაგებს (კონტექსტის მიხედვით უნდა იყოს „ყმებს“ – ე.მ.). თურქებზე და ამით სულსა და ხორცს საფრთხეში იგდებენ, რაც შეუწყნარებელია და ბუნებისათვის საძრახისი. გვედრებით გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ხელოსნები, რომ მათმა ნახელავმა და დახმარებამ თავიდან აგვაცილოს მსგავსი საშინელებანი...’* (თამარაშვილი, 1995: 610-611)

ლევან დადიანი სწორად მსჯელობდა: *‘დიდი რაოდენობით’* ფეიქარ-ხელოსნების ჩამოსვლა მის სამთავროში, ბუნებრივია, მოსახლეობის საარსებო პირობებს მეტ-ნაკლებად გააუმჯობესებდა.⁴

დაბოლოს, მოვუსმინოთ *დონ კრისტოფორო დე კასტელს*, კათოლიკე მისიონერებს შორის გამორჩეულსა და უაღრესად საინტერესოს. ის, ჩვენი ხალხისადმი სიყვარულით განმსჭვალული, ბუნებრივია, განიცდიდა, მისი გაგებით, ყველა იმ სოციალ-ეკონომიკურ ნაკლს რომელსაც ის ამ ქვეყანაში ნახულობდა.

ადამიანებით ვაჭრობის საკითხზე კრისტოფორო კასტელი ლაპარაკობს თავის ერთ-ერთ თხზულებაში (*‘აღმოსავლეთ იბერიის სამეფოსა და მისი აწინდელი მდგომარეობის შესახებ’*), რომელიც თარგმნა და კასტელის ალბომს დაურთო იტალიელი მისიონერების რელაციების ქართულ ენაზე მთარგმნელმა ბეჟან გიორგაძემ და მოათავსა მის მიერვე გამოქვეყნებულ კასტელის ალბომში (კრისტოფორო კასტელი, 1976).

კასტელი კოლხეთის გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ადამიანების გარეგნობის და ჩაცმულობის და სხვ. დახასიათების შემდეგ წერს: *‘არაერთხელ დამსველებია თვალები ცრემლებით, როდესაც ვხედავდი თუ როგორ ჰყიდდნენ ბატკნებივით ხელშეკრულ ყმაწვილებს თურქებზე. მონად გაყიდულ კოლხელ ყმებში მაჰმადიანი მოვაჭრენი აძლევენ ვერცხლის ლარნაკს, ოქროსა და მისთანას’* (კრისტოფორო კასტელი, 1976: 54).

სამეგრელოს მთავარი, რომელიც თურქეთის სულთნის ვასალია ყოველწლიურად ხარკის სახით უგზავნის საუკეთესო სელის ძაფს და ქალ-ვაჟებს. ამავე დროს მას შეუძლია თავისი ქვეშევრდომი ათი თავადის ყმების გაყიდვაც (კრისტოფორო კასტელი, 1976: 55).

წინამდებარე ნაშრომის მთავარ სიახლეს წარმოადგენს იტალიელი ისტოტიკოსის პატრიცია ანა ლიჩინის მიერ 1980 წელს გამოქვეყნებული კრისტოფორო კასტელის ჩვენი მკვლევრებისათვის აქამომდე უცნობი 47 წერილიდან შერჩეული რამდენიმე, რომლებიც უკეთესად წარმოაჩენენ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მეზრძოლ იტალიელ სასულიერო პირს.

⁴ ლევან დადიანის წარმოებისა და ვაჭრობი გაუმჯობესებისათვის ზრუნვაზე, ვრცლად (ანთელავა ი., 1990: 106-120; მამისთვალიშვილი ე., 2011: 633-645).

ტყვეთა სყიდვის მანკიერებასთან ბრძოლაში, მგრძნობიარობით და პირდაპირობით გამოირჩეოდა კრისტოფორო კასტელი. ის როგორც 1632 წლის 8 სექტემბერს თავის ბიძას, გალიანოს გრაფ გრიგორიო კასტელის გორიდან სწერდა: გაუგია, რომ ამ ქალაქიდან, გორიდან სამი დღით დაშორებულ სამეფოში, სადაც მეფობს მთავარი ლევან დადიანი, *‘მომდინარეობს სულებით ვაჭრობა: მამები ჰყიდიან თავათ ბავშვებს, ბატონები კი – მსახურებს, და ვინ არის მყიდველი? მონას მიჰყვება [ქრისტიანული] რწმენაც. რამდენადაც ყოველდღიურად იყიდება დიდი რაოდენობით [მონები], ჩვენ სულებით მოვაჭრეები, ვითვალისწინებთ, რომ ღმერთი ერთ [სულს] უფრო შეიწყნარებს, ვიდრე სამყაროს. [ღვთისმშობელმა] საკუთარი შვილის სისხლით რომ იყიდა ისინი და დაინახა ასეთი მშვენიერი შესაძლებლობა – რამდენიმე მონეტით დემონის ხელიდან მრავალი სულის გაათავისუფლება’.*

ისეთ პიროვნებად, რომელსაც თავისი სიმდიდრით შეეძლო გარკვეული წვლილი შეეტანა ქართველი ქრისტიანების მონობიდან ხსნაში, კრისტოფორო კასტელის მიაჩნდა თავის ბიძა: *‘მივმართავთ მის ღვთაებრივ უდიდებულესობას თხოვნით, დაგვეხმაროს ამ მოლაპარაკებებში, და რამდენადაც ძნელია დიდი ადამიანის მოძებნა – ვისურვებდი ვიყო იმდენად სულით ძლიერი, რომ თქვენ ღმად პატივცემულმა ბატონმა იგრძნოთ თითქოს [ჩვენ] თქვენ გეხმარებით. ახლა კი, ბატონო ბიძა და მამა, უნდა გამოაჩინოთ თქვენი დიდებულება. ეს არის შესაძლებლობა შეიძინოთ არა მიწიერი სახელმწიფოები, არამედ ძალიან დიდი ქალაქი სამოთხის ამ ულამაზეს სამშობლოში. აქ შეძლებთ თითქმის დაიცვათ თქვენი ჯანმრთელობა, რადგან ეს სულები, ასე ვთქვათ, თქვენი მშვიდი უდიდებულესობის სისხლითა და ძალისხმევით გამოსყიდულნი, რომლებსაც დღეს ფულად თვლიან, თქვენს სასარგებლოდ წარდგებიან ღვთის სასამართლოს წინაშე, რადგან გაათავისუფლეთ ისინი ამდენი ბოროტებისგან’* (Don Cristoforo Castelli, 1980: 10).

კრისტოფორო სთხოვს თავის ბიძას ამ საღვთო საქმეში გამოიჩინოს გულუხვობა, რაც მისი სულის სიდიადედ მიაჩნია, მაშინ, როდესაც ის ხელგაშლილობს შედარებით ნაკლები მნიშვნელობის საქმეებში, ღვთისაგან ჩაგონებულმა დემონისაგან იხსნას ადამიანთა სულები.

იმავე დროს კასტელი იმაზეც ფიქრობს, რომელი გზით და საშუალებით შეიძლება მიიღოს ბიძის მიერ გამოგზავნილი ფული და მიზანშეწონილად ჩათვალოს მშობლიური პალერმოს წმინდა ჯუზეპეს ტაძრის მამების ხელით ან, უკეთესი იქნება თუ რომიდან თეატინელების ორდენის გენერლის საშუალებით გამოაგზავნის (Don Cristoforo Castelli, 1980: 11).

კრისტოფოროს აქტიურობით უნდა ყოფილიყო იმავე დღეს (1632 წლის 8 სექტემბერი) მისმა უახლოესმა მეგობარმა, მამა ჯუზეპე ჯუდიჩომ კრისტოფოროს ბიძას, გრიგორიო კასტელის გაუგზავნა წერილი, რომლის მნიშვნელოვანი ფრაგმენტი სქოლიოში ციტირებული აქვს კასტელის დასახელებული წერელების გამომცემელს, პატრიცია ანა ლიჩინის. მასში ვკითხულობთ: *‘ღრმად პატივცემულო ბატონო, ვიცნობ რა თქვენს უგანათლებულეს სულს, თქვენი აღმატებულება იფიქრებს დონ კრისტოფოროზე იმ მოკლე დროში, რომელიც დარჩა მისი მორჩილებიდან. ვთხოვე მას თქვენი წმინდა ბატონობისათვის ეთხოვა რაიმე მოწყალება იმ საქმისათვის, რომლის შესახებაც ის გწერთ. არ მაქვს რაიმე ეჭვი, რადგან თქვენმა აღმატებულებამ ასეთი მოწყალება გამოიღო ჩემ მიმართ, მაშინ, როცა მოვდიოდი ამ მხარეში.*

ამიტომ ბატონო გრაფო, თქვენ გეძლევათ შესანიშნავი შემთხვევა. გამგზავრების წინ რომ მცოდნოდა ამის [ადამიანებით ვაჭრობის] შესახებ, თუ დამიჯერებთ, გავყიდდი ტანსაცმელს, რათა მეშოვა ფული და გამომეყენებინა იგი ღმერთისათვის ასეთ დიდებულ სამსახურში, რაც ეხლა უკვე არ შემძლია, როცა აღმოვაჩინე, რომ ისინი უკვე გამიყიდია სხვა მამებთან ერთად, რათა გაგვეძლო ასეთ დიდ სიღარიბეში. მაგრამ ეს არ მაღელვებს, პირიქით, ამით ვტკბები და მიხარია, ვტირი იმის გამო, რომ არ შემძლიოა დავეხმარო ამ ადამიანებს, მით უმეტეს. რომ ისინი იყიდებიან სამი ოცდათორმეტ პიასტრად~ (Cristoforo Castelli, 1980: 12).

1636 წლის 4 დეკემბერს, იმავე გრეგორიო კასტელისთვის გურიიდან გაგზავნილ წერილში, კრისტოფორო მოკლედ ლაპარაკობს ადგილობრივი მოსახლეობის გაჭირვებულ ყოფაზე, ამის შემდეგ ის ისე ლაპარაკობს და საინტერესოდ ახასიათებს ქართველებს, რომლის მსგავსი იშვიათად გამოგია უცხოელებისგან: *‘ყოველივე ამის [გაჭირვების, უუფლებობისა და დამცირების] მიუხედავად ისინი ლამაზი შეხედულების და ცითმომადლებული ტალანტით [დაჯილდოვებულნი], მაგრამ ტყის შვილები არიან. როგორც ერთმა კაცმა თქვა და დაკვირვებამაც გვიჩვენა, ისინი სხვა ქვეყნებში გადანერგილნი, შესანიშნავ წარმატებას აღწევენ. მათ თურქები ყიდულობენ ყოველ წელიწადს ორი ათასის რაოდენობით, წარმატებას აღწევენ არა მხოლოდ პოლიტიკურ მთავრობებში, არამედ ომშიც შეუდარებელნი არიან. ამიტომ ესენი ყოველთვის იკავებენ უმაღლეს თანამდებობებს, როგორც თურქულ ისე სპარსულ ლაშქარში...~ (Don Cristoforo Castelli, 1980: 19).*

კრისტოფორო კასტელის თქმით, ქართველი თავადების სიმდიდრეს შეადგენს მათი მონების (ყმების) გაყიდვა თურქებსა და სომხებზე. ასეთი ვაჭრობით ისინი იძენენ დიდ ქონებას. თავადი თურქულ ცხენში აძლევს ოთხ ან ხუთ ბავშვს, ასევე ყმების მიცემით იხდის ჩასაცმელისა და იარაღის საფასურს, საშუალო ჯიშის ძაღლში აძლევს ყმის მთელ ოჯახს, ხოლო სხვა უფრო ლამაზი ძაღლისათვის ორ ოჯახს. არაქრისტიანების ხელში მოხვედრილი მართლმადიდებელი ყმები ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე გადადიან თვითნებ ახალი ბატონების სარწმუნოებაზე. კრისტოფორო ასეთ სასაქონლო ურთერთობაში ხედავს სერიზულ დემოგრაფიულ ცვლილებას ქართველი მართლმადიდებლების საზიანოდ: მრავლდებიან სომხები და თურქები, განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი. ამგვარი ტრაგიკული ვითარების ფონზე, მისიონერი წინა პლანზე წამოსწევს თავისი და თეატინელი კოლეგების მოღვაწეობას და ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ დახმარებას, რასაც ისინი ეწევიან თავიანთი შეჭირვებული ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად. *‘რამდენიმე მონეტით ვაკეთებთ ბევრ სიკეთეს, ვიდრე ზემოთ აღვნიშნეთ, - წერს კასტელი, - ამ იმედით და ამ მიზნით ვიცავთ ქვეყნისა და ადგილობრივ მოსახლეობის ჭრილობებს; ვიგერიებთ ბერძნებისა და ურწმუნოთა წინააღმდეგობებს, ხანგრძლივ სნეულებებს; გარდა ჩვენი ზრუნვისა ამ ხალხის უძლურებაზე, მათთვის მომსახურება-წყალობისა და აღზრდის საქმეებში, ბერებისა და მისიონერების მოვალეობების მიღმა, შეუძლებელია იმის დაჯერება, თუ რამდენს გააკეთებენ ისინი ამ მისიის ცხოვრების წესის კარგად დასამკვიდრებლად, სინამდვილეში რამდენს გააკეთებენ პრინცის [ლევან დადიანის] სასახლესთან სიახლოვეს~ (Don Cristoforo Castelli, 1980: 19).*

კასტელის ერთ-ერთ უთარილო და უადრესად საინტერესო წერილში, რომელიც სავარაუდოა დაწერილია გურიაში 1636 წლის 4 დეკემბრის შემდეგ, ავტორი სრულიად მოულოდნელად, როგორც მისთვის დამახასიათებელი იყო, ერთი თემიდან გადადის სხვა თემაზე. იგი წერს: *‘სინიორი ჯოვანი ბაპტისტა პოსკო, გენუელი, კონსტანტინოპოლში იცნობს, კაცს, რომელიც მონებთან, რისკებთანაა დაკავშირებული. ის ცხოვრობს გალათეას კასუმ ფაშას რაიონში და ჰქვია ჩიპრიანო ფანე ჯენოვეზე. მასთან ან ვენეციის წმინდა კონსულთან შეგიძლიათ გადაგზავნოთ წერილი, როდესაც თქვენი ღრმად-პატივცემული ბრწყინვალეობა ისურვებს ჩემდამი სიკეთეს, მაცნობოს თქვენი, გრაფინიას, დედაჩემის და ჩემი ძვირფასი ნათესავების ჯანმრთელობაზე’* (Don Cristoforo Castelli, 1980: 27).

ფრიად სასურველია ვიცოდეთ, რა ნაცნობობა და ურთიერთობა ჰქონდა კრისტოფოროს მონებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ პიროვნებასთან. მოსალოდნელია ჯოვანი ბაპტისტა პოსკო თავის წინაპარი გენუელი მონებით მოვაჭრეების საქმიანობის გამგრძელებელი იყო საქართველოში ან კავშირი ჰქონდა იმ თურქებთან, რომლებსაც მონები მიჰყავდათ საქართველოდან. მეიმედება, რომ კრისტოფორო ცდილობდა დახმარებოდა ჩვენი ქვეყნიდან გატაცებულ ადამიანებს, მით უმეტეს, როდესაც ცნობილია მის მიმართ იტალიელი და ფრანგი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების დადებითი დამოკიდებულება და მისი მათთან შეხვედრები, შეიძლება მათი მხარდაჭერით ესარგებლა. ეს ჩემი ვარაუდია.

ამგვარად, დონ კრისტოფორო დე კასტელი ახლობლების დახმარებით ცდილობდა ამ უარყოფითი მოვლენის (ქართველების ქართველებით ვაჭრობა), რომელსაც ღრმა სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფესვები ჰქონდა, რამენაირად შემსუბუქებას. მაგრამ, სამწუხაროდ, არაა ცნობილი როგორ იზიარებდნენ მისი ადრესატები მის წუხილსა და თხოვნას. მის მიერ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საკითხებზე, სხვადასხვა პიროვნებისადმი გაგზავნილ რამდენიმე ათეულ წერილზე ვერც ერთი პასუხი წერილი ვერ ვნახე, ვფიქრობ, ასეთი მდგომარეობის მიზეზი სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს. სხვათა შორის, ასეთი მცდელობა უკვე მქონდა (მამისთვისალიშვილი, 2024: 1-23).

უადრესად საინტერესოა დონ კრისტოფორო დე კასტელის მიერ შესრულებული ის ნახატები, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ ტყვეებით ვაჭრობაზე. 153-ე ნახატზე მთელი ტანით გამოსახულია თურქებზე გაყიდული ქართველი ქალი, რომელიც ნატურიდან უნდა იყოს დახატული. ნახატზე წარწერაში აღნიშნულია: *‘ქობულეთში მოვნათლეთ ბავშვები... აქ იყვნენ გაყიდული ქალები. ასეთები ხშირად მიჰყავთ ზღვით’* (დონ კრისტოფორო კასტელი, 1976: 117, სურ. 153).

სურ. 228-ზე დახატულია ფარით აღჭურვილი მრისხანე ახალგაზრდა კაცი, რომელიც, მასზე გაკეთებული მინაწერით კასტელი გვაგებინებს: *‘შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ყაჩაღობენ, ხალხს იტაცებენ და თურქებზე ჰყიდიან და ასეთი სისხლიანი ტყავით იმოსებიან... რადგან ურწმუნონი არიან და ღვთის მსახურნი არა ჰყავთ, ერთმანეთსა [ძტრობენ], ზოგიერთი მათგანნი ერთიმეორეს ჰყიდიან თურქებზე, განსაკუთრებით კი ბავშვებს’* (დონ კრისტოფორო კასტელი, 1976: 129, სურ. 228).

შემდეგ სურათზე არის მინაწერი, რომელიც იუწყება: *‘ამ ზღვისპირა ქალაქში ყოველწლიურად საჯარო ვაჭრობა იმართება ყველა ჯურისა და ასაკის ბავშვთა, კაცთა და*

ქალთა გასაყიდად. აქედან გადიან კონსტანტინოპოლისკენ ქრისტიანების მიერ თურქებზე გაყიდული ბავშვებით დატვირთული სავსე გემები, მათი ბავშვების სულები ხომ სამუდამოდ დაკარგულია. აქ შვილი მამასა და დედას ჰყიდის, რაც ფაქტია: მამები და დედები თავიანთ შვილებს ჰყიდიან, რდგან ფულს უფრო აფასებენ, ვიდრე საკუთარ სისხლს (დონ კრისტოფორო კასტელი, 1976: 147, სურ. 330).

კასტელიმ დახატა ქობულეთის ბავშვთა ბაზარი, სადაც როგორც ჩანს, მყიდველი მამაკაცები, ყველანი თუ არა, უმრავლესობა მაინც, თურქები იყვნენ (დონ კრისტოფორო კასტელი, 1976: გვ. 147, სურ. 331).

ქობულეთის მოედანზეც იმართებოდა ბავშვების ბაზარი, მაგრამ სურათი იმდენად მკრთალია, რომ ძნელია მასზე რაიმეს გარკვევა (დონ კრისტოფორო კასტელი, 1976: გვ. 147, სურ. 332).

ბოლო სურათი, რომელიც ასახავს ადამიანებით ვაჭრობას: „ეს ხდებოდა გურიის შავ ზღვასთან მდებარე ერთ-ერთი ქალაქის მოედანზე, მოდიან, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად თურქები და ყიდულობენ ქრისტიან ტყვეებს. მრავალი ათასი სული მიჰყავს დემონს აღმოსავლეთის ამ ქვეყნიდან. რადგან ყოველწლიურად საუკეთესო არსებანი გაჰყავთ კორონტის ნავით შავი ზღვით, რომელიც... ტბას წარმოადგენს, და ჯოჯოხეთში მიჰყავთ ბავშვები.

ბავშვებით დატვირთული ხომალდი მიდის ჟოჯოხეთში.

ჩემი სიცოცხლისათვის უბედური დრო დამიდგა ამ სოფელში. ვტიროდი მრავალი სულის დაკარგვას, რადგან თურქეთში მიერეკებოდნენ ამ საცოდავ ქრისტიანებს. ამ ხალხისთვის ბევრი მოწყალება გამიღია და ავადმყოფობის დროს... მიმკურნალა მათთვის, თანაც მოვმსახურებდნენ სხვადასხვა საქმეში (დონ კრისტოფორო კასტელი, 1976: 148, სურ. 332).

საინტერესოდ აღწერა ჟან შარდენმა ხანმოკლე ყოფნა ერთსა და იმავე გემზე ქართველ ტყვეებთან ერთად, რომელიც ისგაურის რეიდზე იდგა 1672 წლის ოქტომბერში. ეს აღწერა ეკუთვნის არა რომელიმე მისიონერს, არამედ სახელგანთქმულ, განათლებულ და დაკვირვებულ იუველიერს, ძვირფასი ქვებით მოვაჭრეს და მოგზაურს, ფრანგ ჟან შარდენს (ჟან შარდენი, 1975, 211-213).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ანთელავა, ი. (1990). ლევან II დადიანი, თბილისი.

გუგუშვილი, პ. (1949). საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები, ტ. I, თბილისი.

- დონ არქანჯელო ლამბერტი. (1938). სამეგრელოს აღწერა / თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. მეორე გამოცემა. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი.
- დონ არქანჯელო ლამბერტი. (2015). რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე) / იტალიური ტექსტი თარგმნეს და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი.
- დონ არქანჯელო ლამბერტი. (2020). წმინდა კოლხეთი / იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცეტიშვილმა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბილისი.
- დონ კრისტოფორო კასტელი (1976), ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი.
- დონ პიეტრო ავიტაბილე. (1977). ცნობები საქართველოზე. (XVII ს.) შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბილისი.
- დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. (1964), წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე / იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი.
- თამარაშვილი, მ. (1995) ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე / რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი.
- მაკარი ანთიოქიელი (1989). ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა / არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბილისი.
- მამისტვალიშვილი, ე. (2024), კრისტოფორო კასტელი – სპარსეთის 'დედოფალი' ელენე ათაბაგი და მონაზონი კრისტინე // ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, #11, გორი.
- მერკვილაძე დ., (2023). ტყვეთა სყიდვა XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში უცხოელ ავტორთა ცნობების მიხედვით // ამირანი, XXXVII, (31-59).
- ჟან შარდენი, (1975). მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მაგლობლიშვილმა, თბილისი.
- ტაბალუა, ი. (1985). საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, თბილისი.
- Don Cristoforo Castelli (1980). Carteggio inedito di Chierico Regolare, Missionario in Georgia e Mingrelia, // 21. Patricia Licini, Centre Studi e Documentazione della Cultura Armenia, Milano
- Анчабадзе, З. В. (1956). Из истории средневековой Абхазии, Сухуми.
- Броссе, М. (1861). Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770, Санкт-Петербург.

- Зевакин, Е. С., Пенчко Н. А. (1936). Очерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе. «Исторические записки», 13, Ленинград.
- Киласония, А. (2018). Пленопродавство в Западной Грузии в XVI-XIX веках, Тбилиси.
- Манандян, Я. А. (1954). О торговле и городах Армении в связи мировой торговли древних времен (V в. до н. эры _ XV в. н. эры), Ереван.

REFERENCES

- Antelava, i. (1990). levan II dadiani, tbilisi.
- Gugushvili, p'. (1949). sakartvelosa da amierk'avk'asiis ek'onomik'uri ganvitareba XIX-XX sauk'unebshi. monograpiebi, t'. I, tbilisi.
- don arkanjelo lambert'i. (1938). samegrelos aghts'era / targmani it'aliuridan aleksandre ch'qioniasi. meore gamotsema. levan asatianis ts'inasit'qvaobit, redaktsiit da shenishvnebit, tbilisi.
- don arkanjelo lembert'i. (2015). relatsia sakartveloze (XVII sauk'une) / it'aliuri t'ekst'i targmnes da shenishvnebi daurtes murman p'ap'ashvilma da zurab gamezardashvilma, tbilisi.
- don ark'anjelo lambert'i. (2020). ts'minda k'olkheti / it'aliuridan targmna giorgi tskit'ishvilma. t'ekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva, ganmart'ebebi da sadzieblebi daurto davit merk'viladzem, tbilisi.
- don k'rist'oporo k'ast'eli (1976), tsnobebi da albomi sakartvelos shesakheb. t'qekst'i gashipra, targmna, gamok'vleva da k'oment'arebi daurto bezhan giorgadzem, tbilisi.
- don p'iet'ro avit'abile. (1977). tsnobebi sakartveloze. (XVII s.) shesavali, targmani da k'oment'arebi bezhan giorgadzisa, tbilisi.
- don juzep'e judiche milaneli. (1964), ts'erilebi sakartveloze. XVII sauk'une / it'aliuri t'ekst'i targmna, ts'inasit'qvaoba da shenishvnebi daurto bezhan giorgadzem, tbilisi.
- tamarashvili m. (1995) kartuli ek'lesia dasabamidan dgthemde / redaktsia gauk'etes, ts'inasit'qvaoba daurtes da gamosaktsemad moamzades zaza aleksidzem da jumber odishelma, tbilisi.
- mak'ari ant'iokieli (1989). tsnobebi sakartvelos shesakheb. arabulidan targmna tina margvelashilma / armaghani. aghmosavluri mts'erlobis nimushebi, tbilisi.

Mamistvalishvili, e. (2024), k'rist'oporo k'ast'eli _ sp'arsetis `dedopali~ elene atabagi da monazoni k'rist'ine // ist'oria, arkeologia, etnologia, #11, gori.

merk'viladze, d. (2023). t'qveta sqidva XVII sauk'unis dasavlet sakartveloshi utskhoel avt'orta tsnobebis mikhedvit // amirani, XXXVII, (31-59).

zhan shardeni, (1975). mogzauroba sp'arsetsa da aghmosavletis skhva kveqnebshi (tsnobebi skartvelos shesakheb). prangulidan targmna, gamok'vleva da k'oment'arebi daurto mzia mgaloblishvilma, tbilisi.

t'abaghua, i. (1985). sakartvelo evrop'is arkivebsa da ts'ignsatsavebshi, I, tbilisi.

Don Cristoforo Castelli (1980). Carteggio inedito di Chierico Regolare, Missionario in Georgia e Mingrelia, // 21. Patricia Licini, Centre Studi e Documentazione della Cultura Armenia, Milano

Anchabadze, Z. V. (1956). Iz istorii srednevekovoj Abhazii, Suhumi.

Brosse, M. (1861). Perepiska na inostrannyh jazikah gruzinskih carej s Rossijskimi gosudarjami ot 1639 po 1770, Sankt-Peterburg.

Zevakin E. S., Penchko N. A. (1936). Oчерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе. «Istori~che~s~kie zapiski», 13, Leningrad.

Kilasonija, A. (2018). Plenoprodavstvo v Zap~adnoj Gruzii v XVI-XIX vekah, Tbilisi.

Manandjan, Ja. A. (1954). O torgovle i gorodah Armenii v svjazi mirovoj torgovlej drevnyh vremen (V v. do n. jery _ XV v. n. jery), Erevan.